



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011760443905521

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

147268

05 / აპრილი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 158128/17; **თარიღი:** 01.04.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: მერაბ ბურნაძე (პირადი ნომერი 01011034986).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „კახეთის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №882021120631-06 (01.03.2021 წ.) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირები: ავთანდილ ბურნაძე (პირადი ნომერი 20001012131) და ალექსანდრე ბურნაძე (პირადი ნომერი 20001005683).

უძრავი ნივთის მისამართი: თელავის მუნიციპალიტეტი, ქვემო ხოდაშენი.

№158128/17 (01.04.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

№ 882021120631 (19.02.2021 წ.) და № 882021065719 (03.02.2021 წ.) განცხადებებით სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა შედეგა. №882021065719 (03.02.2021 წ.) სარეგისტრაციო განცხადებაზე დაინტერესებული პირები არიან ავთანდილ ბურნაძე (პირადი ნომერი 20001012131) და ალექსანდრე ბურნაძე (პირადი ნომერი 20001005683).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგინდა დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგინდა წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.


ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში მერაბ ბურნაძის (პირადი ნომერი 01011034986) № 158128/17 (01.04.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;
2. № 158128/17 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ ავთანდილ ბურნაძე (პირადი ნომერი 20001012131) და ალექსანდრე ბურნაძე (პირადი ნომერი 20001005683);
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ კახეთის რეგიონულ ოფისს და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს;
4. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2), თელავის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თელავი, ერეკლე II-ის მოედანი № 4) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
6. წინამდებარე გადაწყვეტილება, ასევე, საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგუდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე